№ 6.

წელიწადი პირველი

# ივერია

7 აპრილს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის" რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის" ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.

განცხადებები მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

სარჩევი: I. ცხოვრება და კანონი, წერილი მეოთხე.—II. საქართველოს მატიანე.—III. თამარ-მეფის სახე ბეთანის ეკკლესიაში, ლექსი ქსნისხეველისა.—IV. საპოლიტიკო მიმოხილვა: ოსმალეთი, გერმანია.—V. მუშის სიმღერა, ლექსი ს. ოქრიაშვილისა.—VI. მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის, იტალია.—VII. უკანასკნელი გაკვეთილი, ნაამბობი პატარა ელზასელისა, მოთხ. ალფონს დოდესი.—VIII. ჩვენის ისტორიისთვის მასალა.—X. გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები.—XI. რედაქციისაგან.

## ცხოვრება და კანონი.

—

მეოთხე წერილის შემდეგი *)

ადგილობრივი თვით—მმართველობა (мѣстное самоуправленіе) და უმაღლესი მთავრობა (верховное правленіе) არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში ორნივ მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ. ზემოდ მოვიხსენეთ, რომ ძნელია ამათ შუა ნამდვილის სამძღვარის დადება თუ ყველაფერში არა, ზოგიერთში მაინც. თუმცა ეს ასეა, მაგრამ საზოგადოდ ერთსაც და მეორესაც ისეთი თვალ-საჩინო თვისების კუთვნილება აქვს, რომ მის მეოხებით კაცს შეუძლიან, თითქმის ყოველს შემთხვევაში, გაარჩიოს ან ერთი რის მოღვაწე და პატრონი უნდა იყოს, ან მეორე. ჩვენ თვისება თვითეულისა ზემოდ გაკვრით მოვიხსენიეთ. მაგრამ ვხედავთ, რომ იგი ჩვენის უმთავრესის საგნის უკეთ ცნობისათვისა ცოტაა, ამისათვის გვსურს ამ ჟამად ეგ თვისება ცოტაოდნად დაწვრილებით აღვნიშნოთ.

ყოველი სახელმწიფო, თუნდ გვარ-ტომობით ერთისა და იგივე ხალხით იყოს შემდგარი, მაინც, ადგილობრივის სხვა და სხვაობისაგამო, ბევრს სხვა და სხვა თვისების მხარესა და მხარეს წარმოგვიდგენს. ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოსას თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, თავისი საკუთარი გაჭირვება ადგია, თავისი საკუთარი მზრუნველობა და ფიქრი უმძიმებს გულსა, თავისი საკუთარი ნეტარება აფხიზლებს და იბირებს. უმაღლესის მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და ბედნიერების გზა გაუხსნას. ამისათვის საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ უტყუარად, პირ-უთვნელად, ზედ მიწევნით იცოდეს ყოველის კუთხის ნამდვილი ვითარება, მისი ავ-კარგიანობა, რომ საცა შესაძლოა შველა, უშველოს, შემწეობა მიაწვდინოს. ცხადია, რომ უმაღლესს მთავრობას თვითონ, სხვის დაუხმარებლად ვერ შეუძლიან ვერც თვალი მიაწვდინოს დასანახავად ყველგან, ვერც ყური სასმენლად და ვერც ხელი საშველად. ცხადია, რომ მან უნდა იყოლიოს ამისათვის ანუ საკუთარი მოხელენი ყოველგან მოფანტულნი და მორიგებულნი, ანუ ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ-მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს, მიანდოს. პირველმა საშუალებამ თავი ვერსად ვერ გაიმართლა, იმიტომ-რომ სხვის ხელით საქმის გაკეთება არსად და არასფერში არც თავს მოსულა და არც მოვა. სხვას, ტყუილია, ჩემთვის ისე გული არ შესტკივა, როგორც მე თვითონ; სხვა ჩემ ავ-კარგიანობას ჩემსავით ვერ შეიტყობს, ჩემს ტკივილს ჩემსავით ვერ მოუვლის, ჩემს ჩივილს ჩემსავით ვერ იტყვის; რაც მე ვიცი ჩემი, სხვას თავის დღეში არ ეცო-

*) დასაწყისი ამ წერილისა „ივერიის" № 4-შია.

დინება. ეს ყველგან ესე ჰსცნეს და ამიტომაც ეგ საშუალება თითქმის ყველგან დაწუნებულ იქმნა და უარყოფილი.

სულ სხვა არის, როცა უმაღლეს მთავრობას თვის მეთვალ-ყურეთ, მოხელეთ და ადგილობრივთა საქმეთა გამგეთ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყავსნან. მათ უკეთ იციან თავისი ვითარება, უკეთ იციან თვისი საჭიროება, უკეთ იციან თვისის თავის მოვლა, თვისთა საქმეთა პატრონობა. ამ შემთხვევაში ერთის მხრით—ყოველის კუთხის ჭეშმარიტი საჭიროება, უტყუარი ტკივილი, გულწრფელი და მართალი წადილი მთავრობამდე მისწეულია, მეორეს მხრით—უმაღლესის მთავრობის საერთო მზრუნველობა ერთნაირის გულის ტკივილით, ერთნაირის მადლით ყოველს კუთხემდე მიწვდენილია, მორიგებული და მოფენილი.

აქედამ ცხადია, სად უნდა დაიდვას საზღვარი უმაღლესის მთავრობისა და თვით-მმართველობის შუა. უმაღლესი მთავრობა, რა სახისაც უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი, იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია. მაგ გვარნი საქმენი ეკუთვნიან საყოველთაო კანონ-მდებლობის წარმოებასა, საყოველთაო ფინანსთა (შემოსავალ-გასავალის) მოძრაობასა და საყოველთაო მხედრობის განწყობილებასა. ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვით-მმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და გაწესებული. თვით-მმართველობა ხელქვეითია ამ შემთხვევაში უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი. რაც სახელმწიფოს საერთოს ვითარებას არ შეადგენს, იგი თვით-მმართველობის უცილო კუთვნილებაა. თვით მმართველობა თავის ადგილას ყოველის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია. ყოველივე ამის მომქმედია იმოდენად, რამოდენადაც ყოველივე ეს მის სამმართველოს წრეში მცხოვრებთა განკერძოებით შეეხება და არ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებასა. აქედამ ჰსჩანს, რომ თვით-მმართველობა ერთის მხრით ადგილობრივის საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელის-უფალი *) (ИСПОЛНИТЕЛЬНЫЙ) ორგანოა.

ამ სახით, იგი ერთსა და იმავე დროს ადგილობრივის საზოგადოების ორგანოც არის უმაღლესის მთავრობის წინაშე და უმაღლესის მთავრობის ორგანოცა წინაშე ადგილობრივის საზოგადოებისა.

ცხადია, რომ როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა თვით-მპყრობელობითი, მონარხიული-წარმომადგენელობითი, თუ რესპუბლიკის სახისა—ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვით-მმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, საზოგადო წყობილებას არამც თუ ხელს შეუშლის, არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით-ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულეა და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი.

რუსეთშია მაგ თვით-მმართველობას დიდი ფართო გზა გაეხსნა უმაღლესის მთავრობისაგან და თითქმის მთელი რუსეთი ამას სიხარულით მიეგება. იქ ჯერ სოფლის გლეხთა საზოგადოებას მიენიჭა თვით-მმართველობის უფლება, მერე მაზრასა და გუბერნიასა ერთად (ЗЕМСТВО) და ამ სახით ყოველს განყოფილებაში დაიდგინა თვით-მმართველობითი გამგეობა ადგილობრივთა საქმეთა. იგი დიდიხანია მოქმედებს ინგლისშიაც, სადაც მონარხიული—წარმომადგენელობითის სახის მთავრობაა და ჩრდილო-ამერიკაშიაც, სადაც რესპუბლიკაა. ეს მაგალითები ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, რომ თვით-მმართველობა უმაღლესის მთავრობის სხვა და სხვა გვარობაზედ არ არის დამოკიდებული; რომ იგი ყოველ გვარს უმაღლეს მთავრობას უხდება.

თვით-მმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარიგებული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვას. თუ ეს სიფთხილე არ იხმარა ადამიანმა თვით-მმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქმნება, ვიდრე სახრავი.

უმთავრესნი კუთვნილებანი თვით-მმართველობისანი არიან: 1) ადგილობრივის საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა. 2) უმაღლესის მთავრობი-

*) „ხელის-უფლება" სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენს დასტურლამაში. აქედამ არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე". თვითონ დასტურლამაში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელნი კაცნი საერთოდ „ხელის-უფალად" წოდებულ არიან.

საგან განწესებულის ხარჯისა,—ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონის-ძიება რომ ყოველმა სამართლიანად და უმეტ-ნაკლოდ გადუხადოს სახელმწიფოს თვისი შესახვედრი მოვალეობა; 3) ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა. 4) სხვა და სხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს; 5) ადგილობრივის საზოგადოების პირველ დაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა; 6) ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება, 7) ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თავდარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოება; 8) ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა. 9) უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს.

უმთავრესნი საფუძველნი თვით—მართველობისანი არიან: 1) ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრული წლოვანია; მაშასადამე ყოველს მოვალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას; 2) ადგილობრივის სამმართველოს ხელქვეით უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში ჰსცხოვრობს., აქ როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განყოფილება და ხარისხების გადება მავნებელია და თვით-მმართველობის ბუნების წინააღმდეგია. 3) ადგილობრივი მოსამართლენი აგრეთვე მოხელენიცა უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა, 4) ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მქონე კაცი პასუხის-მგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე.

ჩვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადაავლებს დაინახავს, რომ იგი ცოტად თუ ბევრად თვით-მმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვით-მმართველობა ეგ არის, მაშ ყოველის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ? რატომ მაგ თვით-მმართველობამ არ აავავა სოფელი, თვით გლეხობა ეგრე ერთ-ხმად რად უჩივისო?

ჩვენ ვეცდებით ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერი პასუხი მივსცეთ შემდეგს წერილში.

---

## საქართველოს მატიანე

—

**ამიერ და იმიერ კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი გვარტომობისა და კვალად.**— პეტერბურღში დაბეჭდილა ამიერ და იმიერ კავკასიის ეთნოღრაფიული რუკა, რომელშიაც მოყვანილია კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი გვარტომობისა კვალობაზედ. შემადგენელი იმა რუკისა უფ. რუტტიხი გვიქადის, რომ მასში მოყვანილნი ცნობანი სულ ბოლოინდელის დროისანი არიანო. იმ რუკაში ესრე დაყოფილი კავკასიის მცხოვრებნი გვარტომობის მიხედვით:

I ქართველთა ტომისანი:
1) ქართველნი — — — 375,452.
2) იმერნი — — — — 264,211.
3) გურულნი — — — 59,432.
4) მეგრელნი — — — 205,212.
5) ფშავნი — — — — 12,490.
6) ხევსურნი — — — 5,050.
7) თუშნი — — — — 5,210.
8) სვანნი — — — — 9,110.

II ირანის ტომისანი:
1) სომეხნი — — — — 515,811.
2) ოსნი — — — — 75,604.
3) არაბნი — — — — 9,881.
4) თათრნი — — — — 64,656.
5) თალიშნი — — — 51,221.

III სლავიანის ტომისანი:
1) ველიკორუსნი — — 676,595,
2) მალორუსნი — — — 346,928.

IV ლიტველთა ტომისანი:
ლატიშნი — — — 118.

V ბერძენთ-რომანელთა ტომისანი:
ბერძნები — — — 10,517.

VI გერმანიელთ ტომისანი:
1) ნემეცნი — — — — 9,475.
2) შოტლანდელნი — — 500.
3) სპარსელნი — — — 782.

VII კავკასია-კასპიის გუნდისანი (группа).
1) ავარელნი — — — 116,313.
2) ყუაულნი (ანდიელნი)— 3,693.
3) ქირდნი (ყარატელნი)— 4,952.
4) ახვაყნი — — — — 2,142.
5) ბოლუელალნი— — — 1,989.
6) იდერნი (თინდისელნი)— 2,515.
7) ჭამალალნი — — — 2,418.

8) ხვარშინელნი — — — 1,094.
9) დიდოელნი (ცეზნი) — 4,010.
10) კაპუჩელნი — — — 1,703.
11) ხუნძახელნი (ცენზები) — 568.
12) ბოთლიხელნი — — 1,102.
13) უდნი — — — — 300.
14) ჩაჩანნი — — — — 139,652.
15) ლეკნი — — — — 33,982.
16) არჩინელნი — — — 562.
17) დარღოელნი (ხურკილელნი) 83,588.
18) ყარაყაითაღელნი — — 5431.
19) ყუბაჩელნი — — — 3757.
20) თაბასარნელნი — — 14,667.
21) აღულელნი — — — 5,022.
22) ქიურინელნი — — — 105,688.
23) მუსადარნი (რუთულელნი) 10,009.
24) ნოსურელნი — — — 3,428.
25) კაპუტლელნი — — — 659.
26) ბუდუხელნი — — — 3420.
27) ჯიქნი — — — — 9,767.
28) ხანალუხელნი — — — 2315.
28) ყრიზნი — — — — 3200.

567,649.

VIII კავკასიის-შავის-ზღვის გუნდისანი:
1) ადიღნი — — — — 75,360.
2) ყაბარდოელნი — — 53,098.
3) აბხაზნი — — — — 71,933.

IX სემიტელნი:
1) ებრაელნი — — — 15,680.

X თიურკო-თათრის ტომისანი:
1) თათარნი — — — 828,203.
2) დარუმანდელნი — — 22,917.
3) ყარაჩაელნი — — — 10,000.
4) ნოღაელნი — — — 75,415.
5) ყირგიზელნი — — — 11,554.
6) მახსელნელნი — — 3,821.
7) თურქმენნი — — — 3,207.
8) ყუმიხელნი — — — 72,329.

XI ფინნის ტომისა:
1) ესტნი — — — — 300.

XII მონგოლთ ტომისა:
1) ყალმუხელნი — — — 10,374.
2) მუღანლელნი — — — 24,745.

XIII უცნობთ ტომისანი:
1) ბოშნი — — — — — 131.
2) ქურდნი — — — — 23,225.

სულ ამიერ და იმიერ კავკასიის მცხოვრებნი არიან: — — 2,699,386.

— ტფილისის შემოსავალ-გასავლის სქემა, აღრიცხული 1877 წლისათვის, გვაცნობებს ჩვენ, რომ ქალაქს ტფილისს ჰქონია:

შემოსავალი 1876 წ. — — — — 339,551 მან.
— — 1877 წ. კი მოელიან — — — 439,887 მან.

ამათ შორის:

ქალაქის ქონებიდამ და საიჯარადო მამულებიდამ — — — — — 47,155.
უძრავ ქონების პატრონთაგან მალი — 153,806.
სავაჭრო და სარეწავო ადგილებიდამ გადასახადი — — — — — — 54,671.
ნოტარიულთ სიგელთაგან და სხვა და სხვა საგანთაგან — — — — — 36,360.
ხაზინიდამ და ერობისაგან მოსაშველი — 147,895.

სულ დაიჭერს — — — — — 439,880 მან,
შარშანდელი შემოსავლის ჯამი ყოფილა — 339,555.
მაშასადამე წლევანდელი შემოსავალი შარშანდელზედ მეტია — — — — — 100,336 მან.
გასავალი 1876 წელს იყო — — — 320,042.
— — 1877 წლისათვის დანიშნულია — 429,404.

ამათ შორის:

ქალაქის საზოგადო განმგეობისათვის — 79,638.
ქალაქის პოლიციისა, სახანძრო ნაწილისა და ტუსაღთა ციხისათვის — — — 86,707.
ქალაქის საზოგადო ქონების მოვლისათვის და ქალაქის კეთილ-კარგიერებისათვის 67,847.
სამხედროთა სადგომისათვის — — — 131,582.
ვალთა მოსასპობლად — — — — 41,326.
სხვა და სხვა გასავალი — — — — 22,304.

სულ ჯამი გასავლის დაიჭერს — 429,402.
შარშან 1976 წ. გასავლის ჯამი ყოფილა — 320,042.
მაშასადამე 1877 წ. გასავლის ჯამი მეტია შარშანდელზედ — — — — — 109,362 მან.

— ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი ტფილისის სემინარიის უფ. კუშინსკის პასუხის *) პასუხად:

„უფ. კუშინსკი ამბობს, რომ „სემინარიაში ქართულის ენის გაკვეთილი არის დანიშნული, მასწავლებელნი ქართულის ენისა ყოველთვის ყოფილანო." ჩვენც მაგას ვჩივით, რომ ყოველივე ეს უმაღლესის მთავრობისაგან მონიჭებული გვაქვს. მაგრამ უმაღლესისაგან წართმეული 1872 წლიდამ ქართულის ენის მასწავლებელი ხან იყო და ხან არა. უფ. ტურიევს კეური კი თანამდებობას და დიდად ცდილობდა კეთილსინიდისიანად შესრულებინა თავის მოვალეობა. მაგრამ უფ. კუშინსკისა და რექტორის

*) უფ. კუშინსკის პასუხი „დროების" 35 №-ში იყო დაბეჭდილი.

ვალენტინის შემწეობით უფ. ტურიევი სემინარიიდამ დაითხოვეს და 1874 წლამდე ქართულის ენის მასწავლებელი სემინარიას არა ჰყოლია. ამ წლის ენკენისთვეში მასწავლებლად დანიშნეს უფ. ტატიევი, რომელსაც თვითონ შეგირდები ასწავლიდნენ ზოგ-ზოგ ხუცურს ასოებსა, ასეთი მცოდნე გახლდათ ქართულისა. ამისთანა მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ქართული ენა? ნუთუ ეს უმაღლესის მთავრობის კეთილ-ნების გაუქმება არ არის?

უფ. კუშინსკი ამბობს, რომ სემინარიის მოწაფენი, როგორც მომავალნი სამღვდელონი ქართულის მრევლისა, აქვე სემინარიაში იმართებიან ქართულის ქადაგებისათვისო." ამისათვის უფ. კუშინსკი აკითხებს მოწაფეთა ფილარეტის, ინოკენტის, სმოლენსკის, იაკიმოვის და ევსევის რუსულს ენაზედ წარმოთქმულთა ქადაგებათა. იქმნება ეს ქადაგებანი მალიან კარგნი იყვნენ, მაგრამ რუსულმა ქადაგებამ რომ ქართული ასწავლოს მოწაფეებს, მაგისი კი რა მოგახსენოთ. აბა უფ. კუშინსკიმ დაგვისახელოს ერთი ქართულად თქმული ქადაგება, რომ მოწაფეებისათვის წაეკითხებინოს ენის გასამართავად. უფ. კუშინსკის მოსვლის შემდეგ სემინარიის ეკკლესიაში ქართულს ენაზედ ქადაგება სრულიად მოსპობილია. ეხლა გკითხოთ: როგორ და რით იმართებიან მოწაფენი ქართულის ქადაგებისათვისა?

უფ. კუშინსკი ბძანებს, რომ მოწაფენი ვალდებულნი არიან რუსულს საეკლესიო გალობასთან შეისწავლონ ქართული გალობაცა, ამისათვის დანიშნულია მასწავლებელიო". ბატონო, გვჰსთქვათ რომ მოწაფენი მოვალენი არიან ისწავლონ ქართული გალობაცა, მაშ თქვენც ხომ მოვალე იქნებით ასწავლოთ ქართული გალობა. ასწავლით კი? რომ ბძანებთ მასწავლებელია, ამისათვისო, არ შეიძლება დაგვისახელოთ, ვინ არის. რომ არა გვავთ ეგ მასწავლებელი ვის დაასახელებთ!..

უფ. კუშინსკი ბძანებს, რომ უწმინდესი სინოდი თხოულობსო ქართულს ენას ისეთივე ადგილი ეჭიროსო სემინარიაშიო როგორც სხვა საგნებსაო. ბატონო, ეგ ყველამ ვიცით, რომ უმაღლესის მთავრობისაგან ეგრეა განწესებული, და ჩვენ მით უფრო გვტკივა გული, რომ უმდაბლესნი მაგ წესს უშიშარად არღვევენ და ჩვენს შვილთა თვის საუნჯე-დედა-ენას ავიწყებინებენ.

უფ. კუშინსკი ბძანებს, რომ უწმინდესის სინოდის განკარგულებითაო მოწაფენი ვალდებულნი არიანო იცოდნენ შესანიშნავნი წერილნი ქართულის საეროო და საეკლესიო ისტორიისაო". განა ეს სემინარიაში აღსრულებაში მოდის? აბა რომელი წიგნი გიძლევიათ მოწაფეთათვის, რომ ეგ უწმინდესის სინოდის მოთხოვნილება მოწაფეს აესრულებინა? მაშ თქვენი მოწაფე პ. კ—ვი ვალდებული არ იყო თავის ქვეყნის ისტორია შეესწავლა? რად წაართვა უფ. კუშინსკიმ, დასტუქსა, და მხოლოდ ცრემლით ხვეწნისა შემდეგ დაუბრუნა პ. კ—ვს ქართული ხელნაწერი ისტორია? რათ წაართვა ერთს მოწაფეს ქართული „დავითიანი" მეორეს „საუმაწვილო კონა" და ბიბლიოთეკაში შეიტანა?"

—

თუმცა ჩვენში ქართული წარმოდგენა ისე ხშირი არ არის, მაგრამ მაინც დიდი ხანია არ დაგვწრებივართ იმისთანა მშვენიერს ქართულს წარმოდგენას, როგორიც წუხელ გაიმართა საზაფხულო თეატრში. წარმოადგინეს უფ. სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალა", სომხურიდამ გადმოღებული. ეს წარმოდგენა მეტადრე მომქმედთა პირთა თამაშობით არის შესანიშნავი, ვიდრე თვითონ კომედიის შინაარსით. დედა-საგანი ამ კომედიისა არის ერთი ამჟამადაც გახშირებული უმეცარი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა—მაჭანკლით ქალის გათხოვება. ალაგი ნებას არ გვაძლევს აქ დაწვრილებით გუამბოთ მკითხველს ეს კომედია. მხოლოდ ის კი უნდა აღვიაროთ, რომ ამის დამწერსცოტა გადაჭარბებით გრძელი ლაპარაკი მიუნდვია მომქმედ პირთათვის ასე რომ კომედიის საგანს არ უხდება. ამ კომედიის საზოგადო ხასიათი იმ რიგია, რომ მოქმედება ჩქარა უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ ჩინებულმა აღსრულებამ ვერც კი შეამჩნევინა მაყურებელს ეს ნაკლულევანება კომედიისა. მეტადრე ხასიათმეტყველნი იყვნენ წარმოადგენაში ელ. ყიფიანისას, უფ. კოსტ. ყიფიანი და ვას. აბაშიძე. ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი მაყურებელი არ დასწრებია წუხანდელ წარმოდგენას. ნეტა თუ ქართული წარმოდგენა ისე ხშირია, რომ მობეზრდა კიდეც ჩვენსსა ზოგადოებას!

## თამარ მეფის სახე ბეთანის ეკკლესიაში

—

შენს წმიდას სახეს,
მშვენებით სავსეს,
სახიერებით გაბრწყინვებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან-ცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!

*

მიხარის,—გიმზერ!
ვჰსწუხარ—და გიმზერ!
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!....

*

ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის,
შავ-დროთა ძალით ფერ-წასდენილი!....*

*

და ვით წასულსა,
სიზმარსა ტკბილსა,
მზესა, დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგრობს,
სრულად არ წავჰსწყმდეთ ცით შერისხულნი!....

*

ხნით დამშვრალი,
დაღონებული,
შენადგე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედკრულს,
შენს სატრფოს მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად,*)
შენი ივერი:
იქმნეს ძლიერი
სარწმუნოების გულში დანერგვით!....
წმიდით საყდარით,
ქნით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
შრომით, მხნეობით,
და განჰქრეს ბნელი უმეცრებისა!...
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავ მოგვესმეს,
რუსთაველის ხმა გულის მიმტაცი!....

*

....... მარამ ცად თვალნი,
გაქვს მიქცეულნი,
და მე ველარ მცნობ დამცირებულსა,
სულითა მოკლეს, უდებად ქმნილსა,
იმორს მორყეულსა,
შენს ულირსს შვილსა!...

*

....... ვა თუ რაც წასდეს,
ველარა აღჰსდგეს,
ველარ აღჰყვავდეს ასლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა,
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი?

*

....... ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ესლა გვაქვს, ჰჰხედავ რასაცა?...
დაყრუებულსა,
გზა-შეუვალსა,
უდაბურს ტყეში,—ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
ჰსჩანს მველს კედელზე გამოხატულად!...

ქსნისხეველი.

*) ქართველებმა, მაგი დროს, დაარქვეს სახელად ლანგთემურის და შაჰაბაზის შემოსვლასა, რომელთაც სრულებით გაოხრეს საქართველო.

*) თამარმეფე ყოველთვის ჯვართა აკურთხებდა ჯარსა, სალაშქროდ გამზადებულსა.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**ოსმალეთი.** — ოსმალეთის სახელმწიფომ არც ლონდონის სიგელი მიიღო, არც ჩერნოგორიას შეურიგდა და არც დესპანი გაგზავნა რუსეთში. ახლა? ახლა ყველანი ომის ლოდინში არიან.

ამბები ისე სწრაფად მიმდინარეობენ, ისე ჩქარა სცვლიან ერთი ერთმანეთს, რომ კაცი ვერ ასწრობს დააფიქრდეს და რომელიმე შეხედულობა იქონიოს. მეტადრე კვირა გამოშვებით გაზეთს, რასაკვირველია, არ შეუძლიან დროზე გაუწიოს თავის მკითხველს ამ ამბებზე მუსაიფი. დღევანდელი ახალი ამბავი ხვალ დაძველდება კიდეც ხოლმე.

—

**გერმანია.**—ამს წინედ გერმანიის რეიხსტაღში დიდი ბაასი გაიმართა შესახებ იმისა, რომ ელზასსა და ლოტარინგიას ახალი მმართველობა მიეცესო. როგორც მოგეხსენებათ, აქამდისინ ელზას-ლოტარინგიის საქმეებს განაგებდა ცალკე განყოფილება იმპერიის კანცლერისა, რომლის წარმომადგენლად თვითონ ელზას-

ლოტარინგიაში არის უმაღლესი გამგეობა. გარდა ამისა ელზას-ლოტარინგიაში არის საერო საბჭო, რომელსაც არა ვითარი კანონ-მდებლობითი უფლება არა აქვს და მხოლოდ რჩევას აძლევს უმაღლესს გამგეობას, როდესაც ახალ ადგილობრივ კანონზე ჩამოვარდება ლაპარაკი.

საზოგადო კანონებს კი როგორც მთელ გერმანიისათვის, აგრეთვე ელზას-ლოტარინგიისათვის სდებს რეიხსტაგი და მოზავეთ საბჭო.

ახლის წესდებულების დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეს საზოგადო კანონთ-მდებლობა ელზას-ლოტარინგიისათვის მიენიჭოს საკუთრივ იმპერიის მთავრობასა ელზას-ლოტარინგიის საერო საბჭოს დაკითხვით, ე. ი. მთავრობას როგორც კანონი უნდა ისეთს გამოსცემს, მხოლოდ რჩევა კი უნდა მოსთხოვონ საერო საბჭოს. თუ ვინიცობაა საერო საბჭო მთავრობას არ დაეთანხმა, მას არ ექმნება უფლება თავისი ჩივილი გერმანიის პარლამენტს წარუდგინოს. მაშ ვის ექმნება ამ უთანხმობის მოსპობის უფლება? რასაკვირველია თვითონ გერმანიის მთავრობას. აი ბრძნული განკარგულება ეს არის! მაშ რიღას დამამშვენებელნი იქმნებიან ის თხუთმეტი დეპუტატი, რომლებსაც ელზას-ლოტარინგია გზავნის რეიხსტაღში? ესღა აკლდა გერმანიის კონსტიტუციას, და მეორის მხრით, ესღა აკლდა საცოდავს ელზას-ლოტარინგიასაც.

ელზასის დეპუტატებმა ბევრი ღონის ძიება იხმარეს, რომ ახალის განკარგულების უსამართლობა დაემტკიცებინათ, მაგრამ ვერა გააწყეს რა. ეს განკარგულება მით უფრო უსამართლოა, რომ გერმანიამ ხალხის დაუკითხავად დაიჩემა ელზას-ლოტარინგია და მისი მდგომარეობა უამისოდაც სამწუხარო და უბედური იყო პრუსიელების ხელში.

— ამბობენ, რომ ბისმარკის დროებით სამსახურიდგან გამოსვლის მიზეზი მითომ ის არისო, რომ იგი და გერმანიის იმპერატორი სხვა და სხვა აზრისანი არიანო აღმოსავლეთის საქმის შესახებ: გერმანიის იმპერატორი თურმე რუსეთისკენ არის, და ბისმარკი კი მისი წინააღმდეგიაო. მართალია ეს თუ არა, რა მოგახსენოთ: ბისმარკი ისეთი ოსტატი კაცია, რომ ხორციელი ადამიანი ძნელად გაიგებს გულში რა აქვს.

—

**იტალია.**—მომავალ ამბებში აღმოსავლეთის საქმის შესახებ იტალიაც მიიღებს, რასაკვირველია, ჯეროვანს მონაწილეობას. ავსტრი-უნგრია ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ აგები როგორმე დაიმეგობროს იტალია და მით აიცილოს თავიდგან ყოველი დაბრკოლება აღმოსავლეთის საქმეში. მაგრამ ეს მეგობრობა იტალიელებს ვერაფრად ეჭაშნიკებათ. აი ამას წინედ მილანში რა მოხდა. ლომბარდიაში (იტალიის ჩრდილოეთი ნაწილია) რამდენსამე სამშობლოს მოყვარეს მოაგონდათ ერთი სამწუხარო ამბავი იმ დროისა, როდესაც იტალიის ჩრდილოეთი ავსტრიის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა. სახელდობრ: 1853 წ. რამდენიმე კაცი დაეცა ავსტრიის გუშაგს და ასტედა შეტაკება და სისხლის ღვრა. ავსტრიის მთავრობამ, რასაკვირველია, ეს საქმე იტალიელებს დააბრალა; ის კი არა თუ, როგორც ბოლოს გამოჩნდა, ეს შეტაკება თვითონ ავსტრიელებმა მოიგონეს და თავისივე კაცები დაარიგეს გუშაგს დაეცითო. ეს უმგზავსი ამბავი მოაგონდათ მილანელებს და ისურვეს დღესასწაული გაემართათ თავის მოძმეთათვის, რომელნიც უბრალოდ დაიტანჯნენ რადგანაც არა ვითარი მონაწილეობა არ მიეღოთ ზემოხსენებულს ჩხუბში. ამ დღესასწაულის შესახებ წინადადება წარუდგინეს დეპუტატთა პალატს, რომელმაც თავისი ნება-რთვა გამოაცხადა და გადაწყვიტა დეპუტატები გაეგზავნა მილანში. გაიგო ეს ამბავი ავსტრიის მთავრობამ თუ არა, მაშინვე მის-და იტალიის მთავრობის შორის შეიქმნა გრძელი მიწერ-მოწერა, მაგრამ ავსტრიის მთავრობამ ვერა გააწყო რა, გარდა იმისა, რომ სთხოვა მეორე დროსათვის გადედვათ დღესასწაულობა.

---

## მუშის სიმღერა

(ტომას გუდისებრივი)

მამეცით ცელი ყანებისა გასაცელავად,
მამეცით ფოცხი თავთავების მოსაფოცხავად;
მამეცით დანა, წალდი, ცული,—ან რაც გნებოთ,
რომ მეცა დავრჩე ცოლ-შვილითა თქვენც დაგარჩინოთ!
აჰა თქვენც ჩემი მიჩვეულნი შრომას ხელები,
ჯაფის სწავლაში ნაწურთნი და ნავარჯიშები.

—

რუს გაყვანა გსურთ, თუ მინდვრისა გაპატივება,
ყანის ძნად შეკვრა, ანუ ისე აბულულება,—
ყველა შრომისთვის ყოველ დღეს ვარ გამზადებული,
ოღონდ შიმშილით არ ამოხდეთ ჩემ ცოლ-შვილს სული!
თქვენც ნუ შეჰკრთებით: მე არ მიძევს გუნებაშია,
რომ თქვენი სარჩო, ჩემი ღვაწლი დავწვა ცეცხლშია!

—

მე თავის დღეში ფიქრადაც არ წარმომიდგება
ჩემგნით ცეცხლითა გადაწული თქვენი ცხოვრება;
მე მინდა ცეცხლი ენთოს მხოლოდ ჩემსა კერაზედ,
რომ სიცივისა და ყინვის დროს ჩემი შვილები
მის გარეშემო დამშვიდებით ისხდნენ ჭილობზედ
ჯანით სადები, ტანთ მოსილნი, პურით მაძღრები!....

მან,) ვისგნითაც სცხოვრებს მთელი ქვეყნიერებაჲ,
ვისგნითაც უხნებს კალიები მოქვლინება,—
და მან შენით დაანგრიოს მისი ცხოვრება,
ვინც არ ისმინოს გულითადი ჩემი ვედრება
და ეხლავე არ გამიჩინოს მე სამუშაო.
რადგან უყურებთ, დამიძახეთ: „მოდი მუშაო!"

—

მამეცით წალდი, ცული ტყეთა გასაჩეხლად,
ნამგალი ყანის მოსამკალად, ცელი საცელად;
როგორიც უნდა საქმე იყოს მე ავასრულებ,
მაშინ არავის ცხოვრებასა ხელს აღარ ვახლებ.
თუ არა შრომით, მაშ მითხარით რითი ვიცხოვრო?
ჩემს გაჩენაში ურჩევიხარ შენ, მაცხოვარო?!...

—

ქვეყანაზედა მე მსურს ერთი ბედნიერება:
ჩემის ოფლითა და შრომითა ტკბილად ცხოვრება.
მამეცით საქმე. აჰა თქვენცა ჩემი ხელები,
ჯაფის სწავლაში ნაწურთვნი და ნავარჯიშები.
ამ ხელებითა და ფეხებით მსურს ვიმუშაო,
და არა ქვეყნად ვიწანწალო და ვიგლახაო!

—

მე არ ვთხოულობ არავისგან მოწყალებასა
და ამითი არ დავამცირებ ჩემს ღირსებასა;
შრომის დაგვარად ვითხოვ თქვენგნით დაჯილდოებას.
ქვის გულისანო! ყურს არ უგდებთ ჩემსა ვედრებას?
გაიგონეთ! მსურს ვიცხოვრო ჩემის ოფლითა
და არა თქვენის საჩუქრით და მოწყალებითა.
ოღონდ კი მქონდეს ლუკმა პური, სახლი პატარა
სხვა ამის მეტი, მერწმუნეთ მე, არა მინდარა!...

—

მამეცით წალდი, ცული, დანა, ფოცხი, ნიჩბები,
ნამგალი, ცელი—ყველა შრომის იარაღები!
როგორიც უნდა საქმე იყოს მუდამ მზათა ვარ,
ვიდრე ცოცხალ ვარ მე იმისი ერთგული ყმა ვარ!
ნეტავი იმას, ვინც ამ თხოვნას აგვისრულებდეს
ან ჩვენის შრომის ფასს სრულიად ჩაგვაბარებდეს!...

ს. ოქრიაშვილი.

1877 წ. ოქტომბრის 20-სა

---

## მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელ-მწიფოთათვის

—

**იტალია**:— დიდი ხანი არ არის, რაც ეხლანდელის იტალიის საკოროლო სუფევს. თითქმის 1860 წლამდე იტალიის ნახევარ კუნძული განუყოფილი იყო რამდენსამე სამეფოდ, რომელნიც ოთხის წლის განმავლობაში (1856—1860 წ.) შეუერთდნენ ერთს მათთა შორის უძლიერეს სამეფოს—სარდინიის საკოროლოს, და ამ რიგად დაარსდა ეხლანდელი იტალიის სახელმწიფო (17 მარტს 1861 წ.) თუმცა ის ხალხის მოძრაობა, რომლის მიზეზითაც მოხდა ეს ამბავი, დიდად შესანიშნავი და ღირს-საცნობია, მაგრამ ამ ჟამად მის მოთხრობას ვერ შევუდგებით. ეს თვალ-საჩინო ხანა იტალიის ისტორიისა უფრო ვრცელი ადგილის ღირსია, ვინემ ამ მოკლე წერილისა.

ეხლანდელი კონსტიტუცია იტალიისა იგივეა, რომელიც არსებობდა სარდინიის საკოროლოში, გარდა რამდენიმე მცირე ცვლილებისა. ხელის (აღმასრულებელი) უფლება ეკუთვნის კოროლს, მის მინისტრებს და სხვა მინისტრთა ხელქვეით მოხელეებს. კანონ-მდებლობითი უფლება ეკუთვნის კოროლს, სენატს და დეპუტატთა პალატას. კოროლი არის უმაღლესი ლაშქარ-მთავარი. მას აქვს უფლება გამოაცხადოს ომი ან შერიგება, გამოსცეს სხვა და სხვა ბრძანებაი კანონთა აღსრულების შესახებ. კოროლი ყოველ წლივ შეჰყრის ორთავე პალატას; მას აქვს უფლება გადასდვას მათი ყრილობა, და სრულებით გადააყენოს დეპუტატთა პალატა, მაგრამ იმ პირობით კი რომ ერთს თვეს უნდა მოიწვიოს სხვა ახალი პალატა. კანონ-მდებლობითის თაოსნობის უფლება ეკუთვნის როგორც კოროლს, აგრეთვე სენატს და დეპუტატთა პალატას. ყოველი კანონი, რომელსაც საგნად აქვს რომელიმე ახალი გადასახადი, წინაპირველად უნდა გარჩეულ იქმნას დეპუტატთა პალატაში. სხვა ყოველი კანონი ჯერ ერთს საბჭოში განიხილება, მერე მეორეში და შემდეგ კოროლის მიერ დამტკიცდება. კოროლი აწესებს და ითხოვს სამსახურიდგან თავის მინისტრებს. ყოველი განკარგულება კოროლისა მინისტრის მიერ უნდა ხელმოწერილი იყოს, თორემ არავითარი ძალა არ ექმნება და უქმია. ყოველს განკარგულებაში, რომელსაც მოაწერენ ხელის-უფლება, პასუხის მგებელნი მინისტრები არიან, და არა კოროლი. ზემოდ მოხსენებული იყო, რომ კანონ-მდებლობითი უფლება ეკუთვნის ორს საბჭოს, სენატს და დეპუტატთა პალატას. ამ ორთავე საბჭოს წევრთა არავითარი ჯამაგირი არა აქვსთ დანიშნული, და ამის გამო დაბალი და ღარიბი ხალხი ვერ გზავნის თავის წარმომადგენელს პარლამენტში. ყოველი იტალიელი, რომელიც ოცდა ათის წლისა, შეიძლება ამორჩეულ იქმნას პარლამენტის წევრად. დეპუტატებს ირჩევენ ხუთის წლის ვადით, არჩევანის უფლება კი, რა საკვირველია, ყველას არ ეკუთვნის. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს კანონით დადგენილის ღირსებულობის ქონება, 25 წლისა მაინც უნდა იყოს და წერა-კითხვა უსათუოდ იცოდეს.

ამომრჩეველთა რიცხვი ამ ჟამად არის 528,000 კაცი (იტალიაში სცხოვრებს 27,482,174 სული). დეპუტატთა პალატში 508 წევრია. 40 ათასს სულზე ერთი დეპუტატი მოდის.

სენატის წევრთა ნიშნავს თვითონ კოროლი, მათი რიცხვი არ არის განსაზღვრული. ხოლო ამ ჟამად 322 სენატორია. იგინი ასრულებენ თანამდებობას ვიდრე ცოცხალნი არიან. ყოველი სენატორი ორმოცის წლისა მაინც უნდა იყოს. ყოველი სრულიწლოვანი შვილი კოროლის თავისისა სენატის წევრია. სენატი არის აგრეთვე უმაღლესი სამსჯავრო იტალიის სახელმწიფოში.

იტალიის სივრცე შეადგენს 5,321 ოთხკუთ. მილს, რომელზედაც სცხოვრებს 27,482,174 სული. სარწმუნოებით იტალიელნი თითქმის განსაკუთრებით კათოლიკენი არიან.

ყოველი სრული წლოვანი იტალიელივალდებულია ლაშქარში ემსახუროს ვიდრე ორმოცის წლისა შესრულდება.

მშვიდობიანობის დროს თოფ-ქვეშ იმყოფება 205,314 კაცი (აფიცრების რიცხვი 12,196). ომიანობის დროს იტალიის ჯარის კაცთა რიცხვი ადის 867,886-მდე.

იტალიის სახელმწიფოს-შემოსავალი 1,321,142,386 ფრანკია, *) და გასავალი კი 1318,612,252, ასე რომ მირჩა რჩება 2,530,134 ფრანკი.

---

## უკანასკნელი გაკვეთი.

## ნაამბობი პატარა ალზასელისა *)

(მოთხრობა ალფონს დოდესი.)

იმ დილით მე სასწავლებელში წასასვლელად ცოტად დავგვიანდი და ძალიან მეშინოდა საყვედურისა მით უფრო, რომ ჩვენმა ოსტატმა გამელმა წინადვე გვითხრა ღრამმატიკა გაიკვეთეთო, იმასა გკითხავთო და მე კი ერთი სიტყვაც არ გამეკვეთნა ჯერ. მსწრაფლ ფიქრად გამიარა—მოდი დღეს არ წავალ სასწავლებელში, მეთქი. ვსთქვი და ავასრულე კიდეც. მინდორში გავიქეცი.

— ასე თბილოდა, ასეთი ნათელი იყო ქვეყანაზედ მოფენილი!

ტყის პირში შაშვების შტვენის ხმა ისმოდა, პრუსიის ჯარის-კაცნი რიპერის ქარხანის ახლოს მინდორზედ ვარჯიშობდნენ და სწავლობდნენ. ჩემთვის ყოველივე ეს უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ღრამმატიკის გაზეპირება, მაგრამ ჩემი ჯიუტობა გავტეხე, მყის გამოვბრუნდი და ჩქარის სირბილით ისევ სასწავლებლისაკენ გამოვიქეც.

მოვუახლოვდი ქალაქის სამმართველოს თუ არა, თვალი შევასწარ, რომ ხალხი მოგროვილა და რაღაც განცხადებას კითხულობს. აი ორი წელიწადი იყო გასული რაც ამ სამმართველოდამ სულ ცუდი ამბები გვესმოდა: ხან ისა, რომ აი ამა და ამ ადგილას ჩვენი ჯარი დამარცხდაო, ხან ისა რომ პრუსიელებმა დაგვარბიესო, ხან ეს ბძანება გამოვიდა პრუსიელებთაგანაო, ხან ისაო და სხვა ამ გვარი.

— „ნეტა მითხრა რა მომხდარა კიდევ“ გავიფიქრე გულში და სირბილით გავეშურე. გზაზედ შემეყარა მჭედელი ფანტერი. იმას და მის შეგირდს წაეკითხნათ განცხადება და რაკი დამინახა დამიყვირა:

— რას] მიეშურები, ჯერ მაინც ადრეა, სასწავლებელში თავის დროზედ მიხვალ.

მე მეგონა რომ დამცინის. დაღალული და დაქანცული შევარდი უფ. გამელის პატარა ეზოში, სადაც ჩვენი სასწავლებელი იმყოფებოდა:

სხვა დროს ვიდრე სწავლა დაიწყებოდა ასეთი ალიანქოთი და ჟრიამული იყო ხოლმე სასწავლებლის ოთახში, რომ ქუჩაში ისმოდა. ზოგი სტოლის უჯრებს გამოაღებდა და შეაღებდა, ზოგნი ხმა მაღლა იზეპირებდნენ გასაკვეთსა, ყურები კი დაეცოთ, რომ უფრო კარგად დაეხსომნათ. ოსტატი კი თავისის მოზდილის სახაზავით დადიოდა და წამ და უწუმ ამბობდა: ყმაწვილებო, თუ შეიძლება ცოტა ნელა. მე ამ ჟღრიამულის იმედი მქონდა ჩემს ადგილას ისე დავმჯდარვიყავ, რომ ოსტატს არ დავენახე. მაგრამ იმ დღეს ასეთი მშვიდობიანობა და სიჩუმე იყო თითქო კვირა დღე არისო. გაღებულს ფანჯარაში შევიხედე და დავინახე, რომ სულ ყველანი ჩემი ამხანაგები თავის ადგილას სხედან, ოსტატი კი, თავისი საშინელის რკინის სახაზავით იღლიის ქვეშ, წინ და უკან დადის. მეტი ჩარა არ იყო, უნდა გამეღო კარი იმ სიჩუმეში და გამებედნა ოთახში შესვლა. ვინ იცის რა ფერი მედო შიშისა გამო!.. რა გგონიათ? ჩემმა შიშმა უქმად ჩაიარა. უფალმა გამელმა შემომხედა მე გაუჯავრებლად, და მშვიდობიანად მითხრა:

---

*) ჩვეულებრივად მიღებულია ოთხი ფრანკი ერთ მანეთად:

*) ალზასი ის ქვეყანაა, რომელიც პრუსიამ წაართო საფრანგეთსა ამ უკანასკნელს დროს და რომლისაც სული და გული დღესაც საფრანგეთისაკენ არის.

„ჩქარა დაჯექ, პატარა ფრანცო, შენს ადგილას. ჩვენ უშენოდ გვინდოდა დაგვეწყო კიდეც“.

გადავცოცდი ჩემს ადგილისაკენ და დავჯექი. როცა ცოტად გული დამიმშვიდდა და მივიხედ-მოვიხედე ვნახე რომ ჩვენს ოსტატს კარგი მწვანე სერთუკი ეცვა, თეთრი, ჩინებულად გაუთოებული პერანგის საყელო უჩანდა და თავზედ ეხურა აბრეშუმით ნაკერი ქუდი, რომელსაც იხურავდა მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში, მაგალითად, როცა უფროსი ეწვეოდა სასწავლებლის გასაჩხრეკად, ანუ ჯილდოების დარიგების დრო იქნებოდა. თვითონ ოთახში კი რაღაც საოცარი მყუდროება იყო, თითქო სადღესასწაულო რამ არისო.

მე უფრო იმან გამაკვირვა, რომ სასხდომი ადგილები ოთახის ბოლოს, სხვა დროს ცარიელი იყო ხოლმე, ეხლა კი სულ დაეჭირათ სოფლის ხალხს, რომელნიც ისე ხმა გაკმენდილნი იყვნენ, როგორც ჩვენ. იქ ისხდნენ ბებერი ხაუზერიც თავისის განუშორებელის სამ-კუთხიანის ქუდითა, უწინდელი სოფლის უფროსი, მისი უწინდელი მწერალი და ბევრნი სხვანი. ყველა დაღონებულის და შეწუხებულის სახით იჯდა თავის ადგილას. ხაუზერს მოეტანა თავისი ძველი, პირებ-ბოჭმული ანბანი, გადეშალა მუხლებზედ და ზედ გადაშლილზედ გარდი-გარდმოდ დაედვა თავისი უშველებელი სათვალეები.

ვიდრე ყოველს ამას ვათვალიერებდი და გაკვირვებაში ვიყავ, უფალი გამელი ავიდა თავის კათედრაზედ და გვითხრა იმ ტკბილის და რბილის ხმით, როგორითაც მე შემოსვლის დროს მომმართა:

„ყმაწვილებო! დღეს ჩემი უკანასკნელი სწავლების დღეა. ბერლინიდამ ბძანება მოვიდა, რომ ალზას ლოტარინგიაში მარტო ნემეცურიღა უნდა ასწავლონ. ხვალ სხვა ახალი მასწავლებელი გეყოლებათ. დღეს უკანასკნელად უნდა გაიკვეთოთ ფრანციული ენა. გთხოვთ ყურადღებით იყვნეთ“.

ეს სიტყვები როგორც ისარი ისე მეცა გულს. ჰოი ბარბაროზნო! აი თურმე რა გამოცხადება ყოფილა სამმართველოს კედელზედ გამოკიდებული!..

უკანასკნელად უნდა გაიკვეთოთ ფრანსიული ენაო!... მე კი ჯერ ძლივს ვჯლაბნიდი ასოებსა! — ჰსჩანს თავის დღეში ველარ ვისწავლი. ნუ თუ ამაზედა უნდა გავჩერდე!... ოხ, რა რიგად ვწუხდი დაკარგულ დროისათვის. როდესაც უნდა მესწავლა, მაშინ დავრბოდი ჩიტის ბუდეების საძებნელად, ანუ ვსრიალებდი ყინულზედ!... ჩემი წიგნები, რომელნიც იმ დღემდე თვალის დასანახავად მეზიზღებოდნენ, ჩემი გრამმატიკა, სამღთო წერილი ოსტატის სიტყვების შემდეგ შემიყვარდნენ როგორც მეგობრები, რომელთაც მოშორება და დათმობა ძნელია.

თვითონ უფალი გამელი!... რაკი წარმომიდგა რომ იგი მიდის და ამის შემდეგ ველარ ვინახულებ, წელი მომწყდა. მე ამ ფიქრში გართულს დამავიწყდა მისი სახაზავით ცემაცა და ყოველივე მისგან მოყენებული სასჯელიცა.

საწყალი! ეხლა კი მივხდი რისთვისაც ჩაეცვა ახალი ტანსაცმელი და რისთვისაც მოსულიყვნენ ჩვენი მოხუცებული სოფლელები. თურმე უკანასკნელი გაკვეთის მოსასმენლად მოგროვილიყვნენ, რომ ამით გამოეცხადებინათ უფალის გამელისათვის თავისი გულითადი მადლობა ორმოცის წლის სამსახურისათვის, და საფრანგეთისათვის, თავისის საყვარელის მამულისათვის, რომელიც მათ შორდებოდათ, პატივი მიეცათ.

მე სრულიად ფიქრებმა წამიღეს; უეცრად ჩემი სახელი წარმოითქვა. ყურები ვაცქვიტე, თურმე ჩემი ჯერი მოვიდა პასუხის გებისა. რა რიგად მინდოდა, რომ თავიდამ ბოლომდე შეუცდომელად ამეხსნა მშვენიერი წესები ჩვენის ენის თანდებულისა. მაგრამ პირველ სიტყვაშივე ავირიე და მწუხარის გულით, როგორც კეტი, ისე ვიდექ ჩემს ადგილას, სირცხვილით თავი მაღლა ვერ ამეღო. უფალი გამელი მეუბნებოდა:

„ამ ხანად, ფრანცო, მე არ გისაყვედურებ. შენ უმისოდაც დასჯილი ხარ... მით, რომ არ იცი. იქნება შენა ფიქრობდე: ეჰ, ეგ არა ფერია! თუ დღეს არა, ხვალ ხომ ვისწავლიო! აი ხომ ხედავ რა მოხდა... დიახ, მაგ დღე-ხვალიობამ, სწავლის გადადებამ სახვალიოდ გააუბედურა ალზასი. ეხლა ნემენცებს საბუთი აქვთ გვითხრან: რა მიგიგავთ ფრანსიელებს, რომ იძახით ფრანსიელნი ვართო, როდესაც არც კითხვა, არც წერა თქვენს ენაზედ არ იცით?... ყოველს ამაში მარტო შენ არა ხარ დამნაშავე, ჩემო საწყალო ფრანცო! არა, ყოველმა ჩვენგანმა უნდა უსაყვედუროს თავის თავსა.

„თქვენი ნათესავები თქვენის განათლებისათვის ბევრს არას ზრუნავდნენ, ოღონდ კი ერთი მეტი გროში შეეძინათ და ისინი სხვას არას დასდევდნენ, და ამისათვის ხან სამ-უშაოდ გისტუმრებდნენ ქარხანაში, ხან მიწის სახვნელად. არც კი მე ვარ უდანაშაულო. განა მე კი არ უნდა ვუსაყვედუ-

რო ჩემს თავს? განა სწავლის მაგიერ ხან და ხან ჩემს ბაღს არ გარწყვევინებდით ხოლმე? განა როცა სათევზაოდ მივდიოდი, თქვენის დათხოვნის ფიქრი მაწუხებდა?“

უფალს გამელს სიტყვა ერთის საგნიდამ მეორეზედ გადაჰქონდა და ბოლოს ლაპარაკი ჩამოაგდო ფრანსიულს ენის თაობაზედაც. გვეუბნებოდა, რომ ფრანსიული ენა ყველაზედ მშვენიერი, ყველაზედ ცხადი, ყველაზედ მტკიცე ენა არის მთელ ქვეყნიერობაზედაო; იგი არ უნდა დავიწყებულ იქმნასო. და თუ ვინმე მონების ქვეშ ჩავარდებაო, მისთვის სამშობლო დედა-ენა უკეთესი ღონეა, რომ უბედურებიდამ თავი იხსნასო... მერე გადასხნა გრამმატიკა და აგვიხსნა გასაკვეთი. მე მიკვირდა, რომ ყოველი ფერი ისე ადვილად მესმოდა. რაზედაც კი იგი იმ ჟამად მოგვითხრობდა, ყოველივე მეადვილა. მე მგონია რომ ჩემს დღეში ისეთის ყურადღებით არ მიგდია იმისათვის ყური და თვითონაც, მგონია, თავის დღეში ისეთის მოთმინებით არ აუხსნია გასაკვეთი, როგორც მაშინ. ადამიანს ეგონებოდა, რომ რაკი გვშორდება, ჰსურსო რაც იცის ყოველივე ერთხანად და ერთბამად გადმოჰქცესო და სულ ერთად თავში ჩაგვიდოსო.

გასაკვეთის ახსნის შემდეგ წერა დაგვაწყობინა. ამ ჯერად უფალს გამელს თვითვეულისათვის ცალკე ახალი დედანები შეედგინა; იმ დედანებში მხოლოდ ეს ეწერა: „საფრანგეთი, ალზასი, საფრანგეთი, ალზასი“. ავიღეთ დედანები და მაღლა ჩამოვკიდეთ; როგორც ბაირაღები ისე ფარფარებდნენ თვალწინა. უნდა გენახათ როგორის ყურადღებით ვწერდით ამ სიტყვებს, რა რიგი ხმა გაკმენდილი მდუმარება იყო! მხოლოდ ერთი კალმის წრიპინი ღა ისმოდა. ზოგჯერ მაისის ბუზები შემოფრინდებოდნენ ოთახში, მაგრამ იმათ ყურს არავინ ათხოვებდა, პაწაწინა შაგირდებიც კი თვალს ქაღალდიდამ არ აშორებდნენ და ისეთის გულმოდგინებით გამოჰყვანდათ თავიანთი ხაზები, თითქო ის ხაზებიც საფრანგეთისანი არიანო.... ჩარდახზედ მტრედები ღუღუნებდნენ და მე გავიფიქრე:

„ამათაც ხომ ნემენცურად არ დააწყებინებენ ღუღუნსა“. დრო გამოშვებით ზე ავიხედავდი და ვხედავდი, რომ უფალი გამელი მდუმარედ იდგა კათედრაზედ და რაღაც გულის-ტკივილით თვალს აკვირვებდა ყოველს საგანს, რაც მის გარეშემო იყო, თითქო ცდილობსო საუკუნოდ დაეხსომებინა ეს პატარა სახლი და ყოველი ის, რაც შიგ არის, როგორც გინდათ იფიქრეთ,—ის კაცი ორმოცი წელიწადი იყო ამ ადგილას, ორმოცი წელიწადი იყო მაყურებელი ერთისა და იმავე ეზოსი, ერთისა და იმავე სასწავლებლისა. ყოველივეს უწინდელი ფერი და სახე ედო, მხოლოდ შეგირდების სკამები და რუკა დროთა ბრუნვას მოეცვეთნა, კაკლის ხე ეზოში გაზდილიყო, სვია, რომელიც თვითონ დაერგა, გარს შემოჰფენოდა ფანჯრებს და სახლის სახურავამდე ასულიყო. უსათუოდ ძალიან უკვნესდა, ძალიან ჰსტკიოდა გული, რომ ყოველს ამას თავი უნდა დაანებოს; რომ მისი და აქედამ აყრისათვის წინა და უკან დარბოდა ზემო ოთახში და ბარგს ალაგებდა. დიაღ, ხვალ ზევით უნდა აყრილიყვნენ და სამუდამოდ გამოჰსთხოვებოდნენ ამ მხარესა.

ხოლო მას მაინც კიდევ ღონე და მოთმინება შერჩა, რომ რაც იმ დღეს სასწავლებელი იყო ყველა შეესრულებინა. წერის შემდეგ, ისტორია გაგვიკვეთა, მას მერმედ პაწაწინა ბავშვებმა ჩვეულებრივად უგალობეს თავისი ბა, ბე, ბი, ბო, ბუ. იქ კიდევ, კუთხეში ხაუზერს ცხვირზედ გაეკეთებინა სათვალეები, ხელში ეჭირა ანბანი და ბავშვებთან ერთად ხმა მაღლა იმეორებდა იმავე ბა, ბე, ბუ-ს. ეტყობოდა, რომ ისიც დიდ მეცადინეობაშია. შეშფოთებისა გამო ხმის კანკალი დამართოდა და ისე უცნაურად მოისმოდა იმისი ხმა, რომ ჩვენ ტირილიც მოგვდიოდა და სიცილიცა. ოხ, ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის უკანასკნელი ჩვენის სწავლის დღე!...

უეცრად დაჰკრა საყდრის საათმა შუადღე. ამასთანავე ჩვენის ფანჯრების წინ დაიგრიალა სამხედრო მუსიკის ხმამაც: პრუსიელების ჯარს გაეთავებინა თავისი სწავლა და მოდიოდა მინდვრიდამ... უფალი გამელი გაფითრებული და ფერ მიხდილი ჩამოვიდა კათედრიდამ. მე იგი თავის დღეში არ მომჩვენებია იმოდენა ტანისად, როგორც იმ ჟამად მეჩვენა, თითქო ტანი აიყარაო.

„მეგობარნო!...გვითხრა ჩვენ: „მეგობარნო.... მე...მე....

რაღაცა მოაწვა გულზედ, რაღაცამ სული შეუხუთა და სიტყვა აღარ დაასრულებინა.

მაშინ მიუბრუნდა კედელზედ ჩამოკიდებულს საწერს ფიცარს, აიღო ხელში მელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააჭირა ფიცარს მელი და უშველებელის ასოებით ეს დაწერა:

„გაუმარჯოს საფრანგეთსა!“

ამის შემდეგ შედგა. თავი დაჰკიდა და კედელს მიეყრდო. სხვა აღარა უთქვამს რა, სიტყვის ილაჯი აღარა ჰქონდა, მხოლოდ ხელით გვანიშნა:
„ეხლა წადით!... გაკვეთი დასრულდა!"

---

## ჩვენის ისტორიისათვის მასალა.

(შემდეგი) *)

იქმნა მეფედ იმერთა ზედა სოლომონ ძე არჩილისა და დაიპყრა ყოველი იმერეთი, და იქმნა დიდი სიყვარული შორის მეფისა და დადიანისა. ხოლო ჟამსა მას მთავრობდა გურიასა შინა სიმონ გიორგი გურიელის ძე, და აფხაზთა შორის ქელაიშ აჰმედ ბეგ შარვაშიძე. ჟამსა ამას მოიყვანა მეუღლედ გრიგორი დადიანმა საქართველოსა და კახთა მეფის ერეკლეს შვილის შვილი ნინა, და ამის შემდგომად წარიყვანა მეუღლე თვისი მეფემან სოლომონ მარიამ გრიგოლ დადიანის დაი, და იყო მშვიდობა და მხიარულება ამათ შორის. გარდავარდნილი მეფე დავით იყო თათართა შორის ახალ-ციხეს და მოიცა მუნით მალი და ჩამოიყვანა რამდენიმე ლეკთა და თათართა მხედრობა და მოვიდა იმერეთად და დასდგა ზორეთს. მცნობმან ამისმან ახალმან მეფემან სოლომონ შეიკრიბა სპანი იმერელთანი და მიმართა მათ, და ვინათგან იყვნენ მცირე მხედრობა დავითისა, ამისთვის შემოივლეს სანგარნი და დადგნენ მას შინა. და ვინათგან იხილეს სოლომონისთა სიმცირე მათი არ დარიდეს სიმაგრესა სანგრისასა და შეუტივეს იმერთა, მაშინ გამოვიდა სანგრიდამან სიმონ აბაშიძე ნიკოლაოზის ძე, რომელი ახლდა დავით მეფესა ვინათგან იყო სიძე მისი, და დაუდგა შეტევებულსა სიმაგრესა. მაშინ მიმართა რა მებაირახტემან მეფისა სოლომონისამან, გარდმოაგდო მებაირახე და წარიღო ბაირახი მეფისა და დასცა თავსა სანგრისა მათისასა, და ოდეს იხილეს ესე იმერთა უკუნიქცნენ და ივლტოდნენ იმერნი და სდევდნენ თათარნი და ლეკნი, და რომელნიმე შეიპყრეს, და რომელნიმე მოჰკლეს და გაემარჯვა დავითს მეფესა. წარმოვიდა მეფე დავით და მოვიდა ლომიასთხევს, და რომელნიმე იმერნი შეიკრიბნა, ხოლო სოლომონ წარვიდა საჩხერეს სასახლესა წერეთლისასა, რომელ წერეთელი პაპუნა და ზურაბ დიდათ ერთგულობდა სოლომონს, და ჟამსა ამას მოკვდა წერეთელი პაპუნა. მაშინ მუნ მყოფმან სოლომონ მეფემან სთხოვა შეწევნა საქართველოისა მეფესა ირაკლის, პაპასა თვისსა, და ცოლის ძმასა თვისსა გრიგორი დადიანსა, და წარმოავლინა ირაკლი მეფემან შვილის შვილი თვისი იოანე სპითა შესაწევნელად სოლომონისა, ხოლო გრიგორი დადიანი აქეთ სპითა თვისითა. მოვიდა რა საზღვარსა იმერეთისასა მეფის-ძე იოანე, მიეგება სოლომონ მეფე და მოუხდნენ დავითს და ქმნეს ბრძოლა დაიოტეს დავით, და აქით მოვიდა გრიგორ დადიანი დიდის სპითა და აღიღო ქუთაისისი გამაგრებული დავით მეფისაგან. მაშინ შეკრბნენ სპანი საქართველოისა მეფისანი და დადიანისანი, და დაიპყრეს ყოველი იმერეთი და მიათვალეს კვალად მეფესა სოლომონს და წარვიდნენ მეფის-ძე იოანე და გრიგოლ დადიანი სახლად მათდად გამარჯვებულნი, ხოლო ლტოლვილმან დავითმან კვლავ იშოვნა ვისგანმე შეწევნა, და მოვიდა კვალად იმერეთად, მორჩილ ჰქმნა სოლომონს და ქმნეს მშვიდობა, და მისცა მეფემან სოლომონ საბატონიშვილო და სცხოვრებდა მუნ, დაყვნენ მშვიდობით რამოდენსამე ჟამსა და სცხოვრებდნენ სიხარულისა გამა-ყოფილნი. გარნა ბოროტ მოჰზაზრეთა კაცთა, რომელნი უთანხმოებისა გამო ჭანგარებითა სარგებლობდნენ, კვალად ქმნეს აღრეულება შორის მეფისა და დადიანისა, და იქმნა განხეთქილება. ჟამსა ამას იყო დიდ შემძლე კაცი ემა დადიანისა გელოვანი ქაიხოსრო, რომელი მოურაობდა ლეჩხუმს და მმართველობდა ოდიშსაცა. ესე მიდრკა გრიგოლ დადიანის ერთ-გულებისაგან და მიიბირა ძმა გრიგორი დადიანისა მანუჩარ, მოიყვანა მეფე სოლომონ წერეთლისა გამო, ამისთვის რომელ ზურაბ წერეთლისა ძმის-წული ყავდა ცოლად ქაიხოსროს გელოვანის ძესა და ზურაბ წერეთელი ჟამსა მას პირველობდა სრულსა იმერეთსა ზედა. და ესე ვითარითა შეთქმულებითა გარდააგდეს დადიანი გრიგოლ და ქმნეს დადიანად მანუჩარ, და გრიგოლ წარვიდა სამურზაყანო აფხაზთ შორის და იყო მუნ. ჟამსა ამას მყოფმან იმერეთსა შინა მეფედ ყოფილმან დავით იმოქმედა ახალ-ციხეს და შთამოიყვანა ლეკნი და მიერთდა მათდა და მოვიდნენ მახლობლად ქუთაისისა. აქათ მეფემან სოლომონ შეიკრიბნა სპანი იმერეთისანი და განამაგრა ქუთაისი და მოიწვია შესაწევნელად დადიანი მანუჩარ და მოვიდა ქუთაის ოდიშ ლეჩხუმითა სპითა, სადა პირველობდა ქაიხოსრო გელოვანი ოდიშ ლეჩხუმთა შორის. ჟამსა ამას შეკრბნენ სამურზაყანო აფხაზნი შესაწევნელად გრიგოლ დადიანისა, ვინათგან იხილეს მოყვრობილი მათი განძებული უსამართლოდ, წარმოემართნენ და დაიბანაკეს მარსილს მახლობლად ზანძისა. მსმენელი ამისი მეფე სოლომონ და დადიანი მანუჩარ ულონო იქმნენ, აქით ლეკის სპითა დავით, ხოლო აქეთ აფხაზითა გრიგორი დადიანი. გარნა ულონოქმნილთა მოიპოვეს ესე წარსამართებელი საქმე, წავიდა ლეჩხუმის ჯარითა ქაიხოსრო გელოვანი და წარმოიტანა მოყვარე თვისი ქაიხოსრო წერეთელი, ძმის-წული ზურაბ წერეთლისა რამოდენიმე იმერელისა სპითა და დაუხსნა ღამით მარსილს აფხაზთა და გაიქცნენ აფხაზნი და დიდითა ალაფითა სავსე. ვიდრემდის სცნობდა დავით მეფე

---

*) დასაწყისი № 5-ში.

დაბანაკებული მახლობლად ქუთათისა, მუნიმდის მივიდა გელანი უკმო-ქცეული ქუთათის, ხოლო დადიანი გრიგოლ გვალად წარვიდა აფხაზეთს. მსმენელი ამა საქმისა დავით მოკლებულ იქმნა ძალისა, ვერღა ებრძოლა ქუთათის სოლომონს და მანუჩარს გამაგრებულთა, წარმოვიდა მუნით, გამოვლო იმერეთი და მივიდა მათხოჯის და დაიბანაკა მუნ. ხოლო ერთი ბელადი ლეკისა სახელით დურმამა თვისისა საბელადოთი დასდგა ზემოთ დარღვეულსა ნასაყდრსა ზედა. მაშინ მიუსმა ჭანბავი სოლომონს, რომელ საქართველოისა მეფესა ერეკლეს წარმოუგზავნის შვილი თვისი ალექსანდრე სპითა და არტილერიითა შესაწევნელად სოლომონისა, ვინათგან ეთხოვნა ამას შეწევნა პაპისა თვისისათვის. მსმენელი ამისი მეფე სოლომონ მხიარულ იქმნა, მიეგება ბიძასა თვისსა ალექსანდრეს, ერეკლეს ძესა, და შეერთდენ სპანი საქართველოთა, იმერეთისა, ოდიშ-ლეჩხუმისა, და მივიდენ მახლობელად მათხოჯისა და დაიბანაკეს მუნ. ხოლო დავითმან სიმცირისა გამო შემოივლო სანგარი და განმაგრდა მას შინა, მოვიდა დავითთანა გრიგოლი დადიანი აფხაზეთიდამ. შეიზრახენ დავით და გრიგოლი დადიანი და გრიგოლ წარვიდა აფხაზეთს ქელაიშ-აჭმედ-ბეგისათანა, რათა მუნით მოიცეს ძალი და დავით იყო მათხოჯს გამაგრებული. ხოლო სოლომონ მეფე, და დადიანი მანუჩარ, და ალექსანდრე საქართველოს მეფის ძე იდგნენ ნასახულევს რაოდენსამე ჟამსა. ხოლო დადიანი გრიგოლ მისრული ქელაიშ-აჭმედ-ბეგისა თანა მთხოველსა მისცა ქელაიშ-აჭმედ-ბეგმან შეწევნა და წარმოუგზა აფხაზთ სპითა და მოვიდენ ხიბულს და დასდგენ მუნ. გარნა აქათ მისცეს თეთრი რამოდენიმე ზემოთ ხსენებულს დურმამა ბელადს და განუდგა დავითს და დანაშთომთა ლეკთა შემოადგენ ზემოხსენებულითა სპითა, მეფე სოლომონ. დადიანი მანუჩარ და ლეკნი სანგრიდ-გამო იბრძოდენ ძლიერად, და სიმონ აბაშიძე ყოველს ჟამს ქებული მამაცობასა შინა იბრძოდა გარეთ სანგრისა მხილველთა გასაცვიფრებლად, და მას-თანა ლეკი ერთი სახელოვანი სახელად ამირხან. გარნა ვერ დაუდგა სიმცირე სიმრავლესა და ივლტოდენ დავით და მხლენი მისნი ლეკნი, და წარმოვიდენ ოდიშით და მოვიდენ ხიბულას, სად იყვნენ დაბანაკებულნი ქელეშ-ბეგი და გრიგოლი დადიანი. მხილველი ამისი ქელაიშ-აჭმედ-ბეგი შეშინდა და უკუნ-იქცა ვვალად აფხაზეთად, და დავით, და გრიგოლ დადიანი წარვიდენ ფოთს. გრიგოლი თვისის მეუღლით დასდგა ფოთს, ხოლო დავით წარვიდა თვისის მხლე ლეკითა ახალ-ციხეს, და მცირის ხანისა შემდგომად დავით გარდაიცვალა ახალ-ციხეს ყვავილისა სენითა. ხოლო გრიგოლი დადიანი რაოდენისამე ჟამისა შემდგომად ვერღა დასდგა ფოთს და მეუღლე თვისი [illegible] ოდიშად და მიაბარა მმასა თვისსა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს და თვით წარვიდა ახალ-ციხეს. ხოლო ოდიშს იყო ციხე ჭაქვითისა გამაგრებული მხეიძის პეტრე ბეჟანის მისგან, და ლეჩხუმს მური გასვიანი ხოსიასაგანი, და ერთ-გულებდა ბიძა თვისი გიორგი გრიგოლ დადიანსა, ვინათგან ზრდიდა შვილსა მისსა ლევონს, ბიძა თვისი გიორგი. და ამათ გარდა დაიპყრა ყოველი სამეგრელო სამთავრო მანუჩარ დადიანმა და მთავრობდა. ჟამსა ამას გარდაიცვალა გურიელი სიმონ და იქმნა გურიელად ძე მისი მცირ-წლოვანი მამია. გარნა მოურნეობდა დედა მისი და დაი ზემოთ ხსენებულისა ზურაბ წერეთლისა მარინა, და ბიძა თვისი ქაიხოსრო გურიელის ძე. მაშინ შეიშურა ბიძამან მისმან ვახტანგ გურიელის ძემან და მიბირებითა მეფისათა მიუღო მამიას გურიელობა, და ესრეთ მეფისა გამო ხან იგი მიუღებდა გურიელობას და ხან იგი, გარნა შემდგომად დაშთა მამიას და მთავრობს აწმყოსა ჟამსაცა. გარნა ჟამსა ამას დიდათ ეკირთებოდენ თათარნი გურიასა და აწუხებდენ მოხდომითა, კაცის კვლითა და წარყვანითა ტყვეთათა, კნინღა და ყოველი გურია აღიხოცა, რომელნიმე თათართ მიუყვდა და რომელნიმე განიბნინენ იმერეთად თუ ოდიშად. თუცა გურულნი მამაცად და მხნედ ბრძოდენ მრავალსა ხოცდენ და შეიპყრობდენ და ამარცხებდენ, გარნა სიმრავლისა-გამო თათართ ვერ-ეკმავენ გურულნი. ხოლო ახალ-ციხეს მყოფმან გრიგოლ დადიანმა ვერა რაიმე ჭპოვა შეწევნა, და მუნით წარვიდა საქართველოდ ერეკლე მეფისა თანა, და სიმამრისა თვისისა მეფის მის გიორგისათანა, გარნა ვერ მიიღო ვერცა მუნით თვისის საწადისა კმა-ყოფა და წარმოატანა მეფემან ერეკლემ შვილი თვისი ალექსანდრე, და შვილის შვილი თვისი იოანე რათა იზრუნოს მეფემან იმერეთისამან სოლომონ თხოვისათვის პაპისა და ქმნეს მშვიდობა გრიგოლისა და მანუჩარისა შორის და მოვიდენ ქუთაის. გარნა ვერა რაისა საქმისა გარდამწყვეტელნი მეფის ძენი წარვიდენ ქართლს, და გრიგოლ დადიანი ცოლშვილითა თვისითა იყო მეფისა თანა იმერეთს და იზრდებოდა და არა სწადოდა მეფესა მთავრობა გრიგოლისა არამედ მანუჩარისა, და მრავლისა თხოვნისა და ხვეწნისა შემდგომად სცნა რა ჭეშმარიტი გრიგოლიმ, რომელ მეფე სოლომონ არა მართლიად ზრახავს მას და უმეტეს მეცადინობს დაბრკოლებასა, ამისთვის ეზრახა ბიძასა თვისსა გიორგი დადიანის ძესა, რათა მან გარდმოიბიროს გრიგოლის ერთ-გულებისადმი ქაიხოსრო გელოვანი. ამისთვის იმეცადინა გიორგიმ დადიანის ძემ და მიიბირა გელოვანი ქაიხოსრო, და მოუწოდა გრიგოლს თვისსა სასახლესა შინა ნოჯიხევს. წარმოვიდა ღამით მალვით გრიგოლი ქუთათისით და მოვიდა ნოჯიხევს ბი-

მისა თვისისა გიორგისათანა, წარმოუძღვა ბიძა თვისი და მოვიდნენ ციხესა ზედა გიორგი დადიანის მისასა ნოდას და იმყოფებოდნენ მუნ. ხოლო მეუღლე გრიგოლ დადიანისა საქართველოს მეფის ასული ნინა წარიყვანეს ლ. მათ მალვით და მიიყვანეს ლეჩხუმს. მოეგება ქაიხოსრო გელოვანი და ყოველნი ლეჩხუმნი და მისცეს პირი ერთ-გულებისა ქმრისა თვისისა გრიგოლ დადიანისა. ხოლო გრიგოლ დადიანმა ბიძისა თვისისა გიორგის ციხეს ნოდას მყოფმან შემოიკრიბა რომელნიმე ოდიშარნი დაიდგა მუნ. სცნა რა ესე გიორგი მოქმედება მეფემან სოლომონ გრიგოლისაგან, შერაცხა განბასვრად თვისად და შემოიკრიბა სპანი იმერეთისანი, მიეგება მანუჩარ, გრიგოლ დადიანის ძმა სპითა ოდიშისათა, წარმოემგზავრნენ და მოვიდნენ ნოდას და დაებანაკნენ ლეკურესამდე გარემო ციხისა. და სწადოდა მეფესა დამხობა ნოდის ციხისა, მაგრამ რადგანაც გრიგოლ დადიანი და გიორგი ბიძა მისი იდგნენ მამაცად და მხნედ და დაამარცხეს წასრულნი ჯარნი მეფისანი იქით აქეთ გრიგოლის და გიორგისა. ამისთვის ვერღარ შემართა მეფემან და მოიგონა ესე არა მსგავსიერი საქმე: იწყო ლაპარაკი გრიგოლისთანა და ბიძისა მისისათანა, მოდით ჩემთანა ქუთაისს და იქ შევკრათ პირობა. შენ ჩემთვის, ხოლო მე შენთვის, და მიითვალე დადიანობა. ამა აზრსა ზედა ნება-სცა გრიგოლიმ დადიანმა, და განიზრახა მეფემან ოდეს მოვალს ქუთაის ჩემთანა გრიგოლ მოვკლავ და ბიძასა მისსა და ანუ შევიპყრობ, და ამა ჭაზრითა წარვიდა მეფე ქუთაისს. თუმცადა იცოდნენ გრიგოლმა და ბიძამან მისმან, რომელ ცბიერებს მეფე და მიყავს ღალატისათვის, გარნა იმამაცეს გული და შემდგომად რამოდენისამე დღისა წარვიდნენ ესენიცა და მივიდნენ ბანძას. მუნითგან წარგზავნეს კაცი და ითხოვეს მოწმებელად მიტროპოლიტნი ორნი ქუთათელი დოსითეოს წერეთელი, გენათელი ევთვიმი გურიის ერისთავისძე, ამასთან სახლთ-უხუცესი წერეთელი ზურაბ, და წულუკიძე გიორგი. მოვიდნენ ესენი ბანძას, წარუძღვნენ დადიანსა და მივიდნენ ქუთაისს სასახლესა შინა ქუთათელისასა, და ვინათგან გრძნობილ-იყო მათგან ღალატი მეფისა, გრიგოლ დადიანი აღარ შთავიდა სასახლესა მეფისასა, და ბიძა მისი გიორგი შთავიდა მეფისათანა სასაუბროთ, და სცნა ჭეშმარიტებით რომელ გამზადებულ-არს მეფე ღალატად და ნახა დამდგარნი კაცნი. მაშინ წარმოვიდა და მოვიდა გრიგოლისათანა, უთხრა ცხადათ მეფისაგან ღალატი. მაშინ მსწრაფლ აღმხედრდა და წარმოვიდნენ და წარმოჰყვნენ ზემო თქმულნი მიტროპოლიტები და თავადნი იმერელთანი, და მეფემან ვერღა შემართა ღალატსა და დაუტევნეს განბასრებული და დადიანი მოვიდა ხუნწს, და იმერთა მღვდელ-მთავარნი და თავადნი განუტევა დიდითა მადლობითა და წარვიდნენ.

შემდგომად ამისა წარვიდა გრიგოლი დადიანი ლეჩხუმად, მუნ მისვლისათანა მოეგება ლეჩხუმის მოურავი გელოვანი ქაიხოსრო და სრულიად ლეჩხუმი, მისცეს ფიცი დადიანსა ერთ-გულებისა და ციხენი ყოველნი და დაიპყრა დადიანმა სრულიად ლეჩხუმი. მეფე ვერა-რაისა თვისის განზრახვისა აღმსრულებელმან, წარმოვიდა და მოვიდა ოკვალდასა, და დაიწყო საუბარი დადიანისადმი მშვიდობისა, ექიდამ წარვიდა ბიძა დადიანისა გიორგი და გელოვანი ქაიხოსრო და ქმნეს დადიანისა და მეფისა შორის მშვიდობა და წარვიდა მეფე კვალად ქუთათის. ხოლო დადიანის ძე გიორგი, ბიძა დადიანისა შეიქმნა ავათ ყამსა ამას დღორისას, მოიყვანეს გიორგი ხოპიმს და გარდაიცვალა მუნ წელს ქრისტესის 1799, დეკემბერსა 15. მცნობი ამისი დადიანი გრიგოლ დიდათ მწუხარე იქმნა ვინათგან მოუკვდა საქმისა თვისისა გამგებელი ბიძა, წარმოიღო დიდის პატივით და მოასვენა სამარხოსა მამა პაპათა თვისთა და დამარხა მარტვილს შესაფერითა პატივითა. ხოლო დადიანმა მოიმტკიცა ყოველი ოდიშარი და იქმნა დადიანად და ძმასა მისსა მანუჩარს უბოძა სალიპარტიანო და მუნ იზრდებოდა, გარდა ერთმან-ერთთანა არა მივიდოდნენ და არცა იხილვიდნენ ერთი-ერთთა, ვინათგან იყო შური დიდი შორის მათსა მეფისა მიერ დათესლი. ყამ რაოდენმე ფლობდა გრიგოლი სამთავროსა თვისსა ნებასა თვისსა ზედა, ნა მძლავრებდა ყოველსა ოდიშ ლეჩხუმსა კვალად გელოვანი ქაიხოსრო. ამისთვის ვერა მომთმენელმან გელოვანის ქაიხოსროს საქციელისაგან გრიგოლი დადიანმან, ეზრახა მეფესა სოლომონს საიდუმლოთ, და ერთი-ერთის პირის შეთქმითა მოჰკლა გრიგოლი დადიანმა გელოვანი ქაიხოსრო გორდს, და უმეტესად შემოიმტკიცა გრიგოლი დადიანმა ოდიშ ლეჩხუმი, და ყოველი მიმდგომი ქაიხოსრო გელოვანისა დაამდაბლა. იყვნენ ყამ რაოდენმე სიყვარულსა ზედა მეფე სოლომონ და დადიანი გრიგოლი. გარნა მეფემან არა დაუტევა თვისი განზრახვა და სწადოდა თვისად დაპყრობა ოდიშ ლეჩხუმისა, ამისთვის კვალად მიიბირა ძმა გრიგოლ დადიანისა მანუჩარ და წარმოუმართა გრიგოლსა ზედა სპითა მრავლითა იმერელ ლეკითა, და გარდააგდო გრიგოლი და ქმნა დადიანად მანუჩარ.

(შემდეგი იქნება).

---

## გაზეთებიდამ ამოკრეფილი ამბები

— სახელმწიფო საბჭოს გადუწყვეტია საქმე თავნზედ. სარგებლის აღების თაობაზედ. ამბობენ, კანონად დაუდვიათ, რომ სარგებლის რაოდენობა სესხის მიცემის და სესხის აღების ნებაზედ იქმნება დამოკიდებული.

— რუსეთში მელიტოპოლის მაზრაში განუზრახავთ იმისთანავე ამხანაგობა გამართონ, პურის შენახვის და სესხის შესახებ, როგორც ფულის შესახებ სოფლის ბანკებია. ამ ამხანაგობისათვის უწოდებიათ: „არსებითი საჭიროება". საგანი ამ ამხანაგობისა ის არის, რომ თვისთა წევრთ მოუპოვონ გაჭირების დროს პური იაფად და ადვილად. წესდებულება შეუდგენიათ, რომელსაც ჴელი მოუწერია და წარუდგენიათ ფინანსთ მინისტრისათვის დასამტკიცებლად.

— ევროპიის უმთავრესთა ქალაქთა შორის აი რამდენი სული იხოცება თურმე რიცხვთა შუა ანგარიშით ერთს თვეში ათას სულზედ: ლონდონში—$24\frac{1}{4}$; ედინბურგში—$18\frac{3}{4}$; გლაზგოვში—$25\frac{1}{4}$; დუბლინში—26, პარიჟში—29, რომში—29, ვენაში—26, ბრიუსსელში—21, ბერლინში—25, გამბურგში—23, ამსტერდამში—28, ქრისტიანიაში—22, ბრესლავში—28, ფეშტში—38, ტურინში—24, კოპენგაგენში—23, მუნხენში—34, ნეაპოლში—30.

— ვიტებსკში შემდგარა „სოფლის მეურნეთა საზოგადოება". ამ საზოგადოების საგანი ის არის, რომ მეურნენი ერთმანეთს დაუახლოვოს, მოუმართოს ჴელი და წარმატებას მისცეს ადგილობრივი მიწათ-მოქმედობის წარმოება, გაადვილოს მიწის მოსავლის გასაღება და მუშა ხალხის მოპოება. წესდებულება ამ საზოგადოებისა დაუმტკიცებია კიდეც სახელმწიფო ქონებათა მინისტრსა.

— ოდესაში ქალაქის გამგეობას ახალი ხარჯი შემოუღია ქალაქის მცხოვრებთათვისა. ეგ ხარჯი განსაზღრულია სახლის ქირაობის ფასის კვალობაზედ, და ედებათ მხოლოდ სახლის ქირით დამქირეთა.

— შვიდს მარტსა სახელოვანის გარიბალდის დაბადების დღე იყო. ამისგამო ოდესაში ამ დღეს დიდი ნადიმი გაუმართავთ ოდესაში მცხოვრებთ იტალიელთა და ეგ დღე უდღესასწაულნიათ. მეთაური ნადიმობისა ყოფილა იტალიის დესპანი (კონსული) კასტელლი. წვეულება ჰქონიათ ერთს სასტუმროში, რომელსაც ჰქვიან „ჩრდილოეთის სასტუმრო" (Сѣверная гостинница). ზალა მდიდრულად მორთული ყოფილა მრავალის ყვავილებითა, რუსისა და იტალიის ხალხის დროშებითა. კედლებზედ ამართული ყოფილა ჴელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის ძის სახე, ღენერალის გარიბალდისა, იტალიის მინისტრის კაჲრისა, იტალიის გამოჩენილის მამულის შვილის მაძძინისა და სხვათა. მრავალი სიტყვა წარმოითქვა თურმე, მრავალი სადღეგრძელო დაილია. გარიბალდისათვის მისალოცავი ტელეგრამმა გაუგზავნიათ.

— 1846 წლიდამ დაწყობილი 1870 წლამდე საქართველოში დოღები იყო განწესებული მარბენალთა ცხენთა საცდელად და ჯიშის განსაკარგებლად. 1870 წ. ადგილობრივმა მთავრობამ მოსპო საქართველოში დოღები, რადგანაც აქაური ცხენების ავ-კარგიანობას მაგ დოღების დაწესებით არა დაეტყო-რა. ეხლა აქაურს უმაღლეს მთავრობას გადუწყვეტია, რომ დოღები კვლავ იქმნას საქართველოშიაო. ამ 1877 წელს იქმნება დანიშნული დოღი. დრო და ადგილი დოღისა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

— ბზიბის (აფხაზეთის) ტყის თაობაზედ ვიღაც ო. ა. ფონ-ლიპსორტს წინადადება შეუდგენია და წარუდგენია ერთს საზოგადოებისათვის რუსეთში, რომელსაც ჰქვიან „Общество для содѣйствія русскому торговому мореходству". ფონ-ლიპსორტი ამბობს თურმე, რომ ბზიბის ტყე 60,000 დღიურია, მშვენიერი რამ არისო, დღევანდლამდე უქმად დევსო და ხაზინას არაფერს სარგებელს არ აძლევსო, მაშინ, როდესაც მაგ ტყეს შეუძლიან ათი ათასი თუმანი შემოუტანოს ხაზინასაო, თუ კი ხაზინა ფონ-ლიპსორტისაგან შეტანილს წინადადებაზედ დადგებაო. ეგ საზოგადოება გარდა იმისა რომ ტყეს გაიტანს სამზღვართ გარედ, თავის ხომალდებსაც გამართავსო შავის ზღვის პირზედ ვაჭრობის სასვლელადაო. რომ ამ საზოგადოებამ თავისი დანიშნულება აასრულოს, ლიპსორტის სიტყვით, ექვსი მილიონია საჭირო. ამ ფულს ადვილად ვიშოვითო, ამბობს ლიპსორტი, თუ მთავრობა ათს თუმანზედ ხუთს მანეთს სარგებელს აღუთქვამსო ფულის პატრონთაო.

ეს წინადადება ფონ-ლიპსორტისა „Общество для содѣйствія русскаго торговаго мореходства"-სა ყურადღების ღირსად უცვნია და გადუწყვეტია რომ ფონ-ლიპსორტის წინადადება წარუდგინონ დიდს მთავარს, კავკასიის მთავარ-მმართებელსა.

— მას შემდეგ რაკი 17 აპრილის 1874 წელს ახალის ღერბის ფული დაწესდა ზოგიერთი ნაუმკვთა გლეხთა საქმის სასამართლონი (учрежденія по крестьянскимъ дѣламъ) არზებს და საჩივრებს უბრუნებდნენ მოჩივართ თუ ორ აბაზიანი მარკა არ ჰქონდა ქაღალდს. ეხლა კი, გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს აუხსნია, რომ მაგ სასამართლოებში საქმის წარმოება სრულად თავისუფალ უნდა იქმნასო ღერბის ფულისაგანაო.

— ინგლისის გაზეთში იწერებიან, რომ ამ ცოტას ხანში აუქციონით გაიყიდაო ერთი მუხის ხის სელი (кресло), რომელზედაც თურმე ვილლიამ შექსპირი იჯდა, როცა თავის სახელოვანს დრამებს ჰსწერდა. თვითონ სელი უბრალო რამ არისო, მაგრამ აუარებელი ხალხი მოაწყდა სახყიდლათაო და გაყიდულა ოცდა შვიდ თუმნათ. აქაც გაყიდულა ერთი ძველად ნაბეჭდი თხზულება შექსპირისა ასს თუმნად.

---

## რედაქციისაგან

ზოგჯერ მოგვდის ხოლმე წერილები, ლექსები და სხვა და სხვა კორრესპონდენციები და დამწერნი გვთხოვენ ცალკე ბარათით ვაცნობოთ დავბეჭდავთ თუ არა გამოგზავნილთა წერილთა და სხვ. რადგანაც ამ ბარათების წერას დრო უნდა და ამას გარდა არც რაიმე სასარგებლო შედეგი მოჰსდევს, ამისათვის ჩვენ ვარჩიეთ პასუხი შევუთვალოთ ჩვენის გაზეთის პირით იმ მწერალთა, რომელთ ნაწერსაც ვერ დავბეჭდავთ. პირველს შემთხვევაში ჩვენს პასუხს ვუგზავნით შემდეგ გვამთა:

1) „ქუთათურს“ — თქვენი წერილი „ივერიაში“ არ დაიბეჭდება. მაგ გვარს უთავ-ბოლო და გამოუსადეგარს საგანს, რომელსაც თქვენ გვაუწყებთ, „ივერიაში“ ადგილი არ ექმნება არას დროს. „ივერია“ კერძო პირის წადილს არ ემსახურება.

2) მღვდელს ს. ბ—ს. — თქვენის თხზულების დაბეჭდვის პირობას ვერ გაძლევთ, იმიტომ რომ თვითონ თხზულება არ გამოგიგზავნიათ. თუმცა დაგვისახელეთ ის გვამი, რომელსაც, თქვენის სიტყვით, ის თხზულება უნდა გამოვთხოვოთ, მაგრამ არც დრო გვაქვს უკან დევნისათვის და არც ცნობა თქვენგან დასახელებულის გვამისა.

3) „უფ. მოგლეჯილაძეს“. — თქვენი წერილი და მგრედ უსაბუთოდ ლაპარაკი ზოგიერთის ავ-ზნეობაზედ, იქნება ზოგიერთისათვის გამოსადეგი იყოს და არა „ივერიისათვის“. თუ ადამიანს ჰკიცხავთ, მისი საბუთი, საქმე და ნამოქმედარი გვაუწყეთ. სხვა გვარ განკიცხვა, ჩვენის ფიქრით ლანძღვაა და ლანძღვას ჩვენს გაზეთში ადგილი არა აქვს.

4) „კონსტანტინე გეგიაძეს“. — თქვენის წერილით ნაუწყი ამბავი არ „ახალია ძველია“. თვალი დააკვირვეთ თქვენს გარეშემო ცხოვრების მიმდინარეობას და რაც ახალი შესანიშნავი რამ ნახოთ ყველასათვის ღირს-საცნობი, ის გვაუწყეთ: სიხარულით დავბეჭდავთ.

5) თ. ი. უ—ს. — თქვენი ლექსი ვერ გავარჩიეთ, რადგანაც ცუდის ხელით არის გადაწერილი და რაც კი გავარჩიეთ ვცანით რომ ულმობელს ბედს თქვენთვის პოეზიაში ადგილი არ მოუზომავს.

6) ი. ჯ—ს. — თქვენი წერილი უსარგებლოდ დიდია. ხალხის პატივის დაცვა დიდი საქმეა, მაგრამ თვითონ ხალხის პატივიც ისე დიდია, რომ იგი იმით არც ამაღლდება, რასაც თქვენ გვაუწყებთ. თქვენ მარტო ამ წერილით არ გიცნობთ; თქვენი მწერლობითი ღვაწლი ცნობილი გვაქვს. პასუხზედ არ დაგვემდუროთ და თქვენი შრომა ამის გამო არ მოგვაკლოთ.

---


## განცხადება

ტფილისში, ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება:

**გოგია მეჩანგურე**, ლეგენდა თ. აკაკი წერეთლისა. ფასა ერთი შაური.

**დავრიშიანი**, ანუ ზღაპრული მოთხრობა, გამოცემა პირველი. ფასი შვიდი შაური.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Апрѣля 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.